

## გენცალაბა და პრეზიდენტის პრივილეგია

საქართველოს პრეზიდენტს, შესაძლოა, კონსტიტუციით გარანტირებული შეწყალების პრივილეგია შეეზღუდოს. ომბუდსმენის ინიციატივით, პრეზიდენტის მხრიდან შეწყალების ინსტიტუტის გამოყენება კონსტიტუციურ-სამართლებრივ ფარგლებში უნდა მოექცეს.

სახალხო დამცველის შეფასებით, შეწყალების აქტი ჰუმანურობის პრინციპიდან უნდა გამომდინარეობდეს, თუმცა გარკვეულ ჩარჩოებში უნდა მოექცეს.

„როდესაც პატიმარი ჩადენილ დანაშაულს არ აღიარებს, ამ პატიმრის შეწყალების საკითხი სხვა კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს იმ პატიმრისგან განსხვავებით, რომელიც დანაშაულს აღიარებს და პატივებს ითხოვს,“ - განაცხადა ნანუაშვილმა.

„უჩა ნანუაშვილის რეკომენდაციას არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილიც იზიარებს. პრეზიდენტის მიერ საკუთარი თავისთვის განუსაზღვრელი უფლებების მინიჭებაზე საუბრობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე.

„პრეზიდენტმა საკუთარ ბრძანებულებაში ცვლილების შეტანით თქვა - მე შემიძლია ყველას შეწყალა ყოველგვარი კრიტერიუმის მიუხედავად და შემიძლია, გამოუშვა ყველა, როდესაც მომინდება. დღეს პრეზიდენტი ასეთი ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს. ამას, ბუნებრივია, რეგულაცია სჭირდება. არ შეიძლება, ასეთი ფართო საკითხი საკანონმდებლო და იურიდიულ ჩარჩოებს მიღმა არსებობდეს,“ - განაცხადა კოჟორიძემ.

ბაზრძილაბა  
მე-3 გვარდუა

## ბაზო ახალაიას ადვოკატები მოსამართლეებს ურივიან

ბაზო ახალაიას ადვოკატები მოსამართლეებს გიორგი არევაძეს და ლაშა ჩხიკვაძეს ურივიან. ადვოკატების მტკიცებით, მოსამართლეებმა საპროცესო კოდექსი დაარღვიეს. ადვოკატები მიიჩნევენ, რომ შს და თავდაცვის ყოფილი მინისტრის მიმართ შერჩევითი სამართალი და პოლიტიკური დევნა ხორციელდება.

„ბაზო ახალაიას ადვოკატების ღონისძიებად პატიმრობა ნაკლებად მძიმე დანაშაულზე შეუფარდეს, რომელზეც სისხლის სა-

მართლის კოდექსი სანქციად ჯარიმას ან ნულიდან 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, მაშინ როდესაც ხვედელიძეს, რომლის მიერ ჩადენილი დანაშაული 0-დან 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, 5 000-ლარიანი გირაო შეუფარდეს. ეს ცალსახად შერჩევითი სამართალი და პოლიტიკური დევნაა. ამავე დროს, როგორც პროკურორმა, ასევე მოსამართლემ, მოტივაცი-ში ჩანერგეს, რომ თურმე ბაზო ახალაია შეიძლება-

ლენინა და ამის გამო მას ალკევის ღონისძიებად პატიმრობას უფარდებდნენ. აღნიშნულის შესახებ ჩვენ იუსტიციის საბჭოში მოსამართლე გიორგი არევაძის მიმართ საჩივარს შევიტანთ. ასევე, მეორე საჩივარი შეგვაქვს ლაშა ჩხიკვაძის მიმართ, რომელმაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაარღვია,“ - განაცხადა ბაზო ახალაიას ადვოკატმა გოგა ონიანმა.

ბაზრძილაბა  
მე-3 გვარდუა

## ევროკავშირისკენ ბალტიისპირეთის გავლით

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დღეს ლიტვაში ოფიციალურ შეხვედრებს იწყებს. იგი ვილინიუსში საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა. უსუფაშვილი ლიტვაში გუშინ ლატვიიდან ჩავიდა, სადაც პარლამენტის სპიკერი 2-დღიანი ვიზიტის ფარგლებში 4 ნოემბერს პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს და საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა.

გუშინ შემავაშვებელი შეხვედრა ლატვიის პრეზიდენტ ანდრის ბერზინსთან გაიმართა. როგორც უსუფაშვილი აღნიშნავს, შეხვედრის მთავარი თემები იყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები, ვილინიუსისა და რიგის სამიტები. 2015 წლიდან ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყანა ლატვია ხდება. ვილინიუსში დაწყებული საქმე ამ პერიოდში უნდა დასრულდეს,“ - ამბობს დავით უსუფაშვილი, - ევროკავშირთან საქართველოს დაახლოება სწორედ ბალტიისპირეთის და სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გავლით არის ყველაზე ეფექტური.“

უსუფაშვილის შეფასებით, ლატვიის პრეზიდენტთან შეხვედრა თბილ და მეგობრულ ვითარებაში გაიმართა. „ვიზიტმა დაგვანახა, რომ საქართველო და ლატვია ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებით არიან დაინტერესებულნი,“ -

აღნიშნავს უსუფაშვილი. შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქვეყნები მეგობრობას და თანამშრომლობას სხვადასხვა ასპექტებში გააგრძელებენ: ნატო-სთან და ევროკავშირთან დაახლოების მიმართულებით, ასევე ეკონომიკაში, ვაჭრობაში, განათლებაში და სოფლის მეურნეობაში ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით. „შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის შესაბამის სამინისტროებს შორის საკმაოდ მჭიდრო თანამშრომლობა დამყარდა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.“

ბაზრძილაბა  
მე-2 გვარდუა

## ტაჭიკეთში რახმონს მორიგი ვადით ირჩევენ

ივან შილაკაძე

დღეს ტაჯიკეთში საპრეზიდენტო არჩევნებია, რომლის შედეგშიც ეჭვი არავის ეპარება. მოსახლეობის და მიმომხილველების ნაწილი ამ არჩევნებს უყურებს, როგორც მორიგ ფორმალობას, რომელმაც ამ თანამდებობაზე მოქმედი პრეზიდენტის მორიგი და ან უკვე გაზრდილი ვადით დარჩენა უნდა უზრუნველყოს.

რამდენიმე წლის წინ ქვეყანაში რეფერენდუმი ჩატარდა, რომელმაც საპრეზიდენტო ვადა 4-დან 7 წლამდე გაზარდა, ხოლო ემომალი რახმონს კენჭისყრის უფლება მეოთხეჯერაც მიეცა.



ბაზრძილაბა  
მე-4 გვარდუა

1 აშშ დოლარი	1.6643\$
1 ევრო	2.2110\$
1 ინგლისური გირვანკა	2.5933\$
1 თურქული ლირა	0.8622\$
100 რუსული რუბლი	5.0433\$

  

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

  

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

„24 საათის“ ელექტრონული ვერსია იხილეთ [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)  
ჩვენი პარტნიორები:

თბილისი ბანკი  
TBC BANK  
ჩვენ ვამოწმებთ ერთმანეთს

FM 102.4  
საბავშვო რადიო

ბანკი კონსტანტა  
BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

9|771987|912100|>

## გია გებურაძე „ზესტაფონში“ დაბრუნდა

2013 წლის 5 ნოემბერს დავით აბაშიძის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ მიერ ორგანიზებული პრესკონფერენცია გაიმართა. იმერულის კლუბის სპორტულმა დირექტორმა მიხეილ პრუციშვილმა საზოგადოებას ახალი მთავარი მწვრთნელი წარუდგინა.

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს“ გიორგი გეგუჩაძე უხელმძღვანელებს. ყველაზე წარმატებულმა ქართველმა მწვრთნელმა, რომელმაც 2004-2005 წლების სეზონში თბილისის „დინამოსთან“ ერთად დამოუკიდებელი ქართული საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდ შედეგს (თბილისელებმა მაშინ უეფას თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე იას-

პარეზეს) მიაღწია, 2008-2011 წლებში ზესტაფონში წარმატებით იმუშავა. სწორედ გია გეგუჩაძის ხელმძღვანელობით მარგველები პირველად გახდნენ საქართველოს ჩემპიონები და სისტემატიურად ასპარეზობდნენ ევროპულ საკლუბო ტურნირებში. საფეხბურთო სამყაროს იმ გუნდმა თავი სანახაობრივი და შემოქმედებითი ფეხბურთით დაამახსოვრა, მეტოქეთათვის კი მრისხანე და უძლეველ ძალად ჩამოყალიბდა. ბოლო 2 სეზონი გია გეგუჩაძემ ქუთაისის „ტორპედოს“ მესაჭის თანამდებობაზე გაატარა - იმ ფორმაციის სიმპატიურმა ქუთაისურმა გუნდმა საკლუბო ისტორიას ბრინჯაოს მედლების ორი კომპლექტი შემატა.

ბაზრძილაბა  
მე-8 გვარდუა

## ეიფმანი - ახალი რუსული ბალეტი თბილისში

სოფო ნეხაძე

13, 14 ნოემბერს რუსთაველის თეატრში, მაცურებლის წინაშე, სანკტ-პეტერბურგის ბორის ეიფმანის საბალეტო დასი უახლესი სპექტაკლით «ცოდვის მიღმა» წარდგება. სპექტაკლი ბორის ეიფმანმა ფიოდორ დოსტოევსკის «ძმები კარამაზოვების» მიხედვით დადგა, რეგენერის, მ.მ.მუსორგისა და ს.ვ.რახმანინოვის მუსიკაზე.

ადამიანი საიდუმლოა. ის უნდა გამოიყნოს და თუ ამას მთელ ცხოვრებას მოუძღვები არ თქვა, რომ დრო ტყუილად დაკარგე; მე ამ საიდუმლოთი ვარ დაკავებული, ვინაიდან მინდა ვიყო ადამიანი, - დოსტოევსკის ეს სიტყვები ყველაზე კარგად ასახავს ბორის ეიფმანის შემოქმედებით გზას, რომელიც თავის ყველა ნამუშევარში ღრმად იძიებს სულის ყოფის ძალზედ რთულ სფეროებს.



ბაზრძილაბა  
მე-5 გვარდუა

# ქართული ეკონომიკის ბანკოტარების ტენდენციები



2014 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც პარლამენტს განსახილველად წარედგინა, კვლავ მნიშვნელოვნად სოციალურ უზრუნველყოფაზე ორიენტირებული იქნება. იგი ასახავს გაზრდილ ხარჯებს სოციალურ დახმარებაზე, ჯანდაცვაზე და განათლებაზე, ხოლო ინფრასტრუქტურული ხარჯების მხრივ ბევრი არაფერი შეცვლილა. ეს ნიშნავს, რომ 2014 წლის საქართველოს ხელისუფლება იმ ეკონომიკური პოლიტიკის გაცრდილებას აპირებს, რომელსაც 2013 წელს ახორციელებს.

ცხადია, ეკონომიკისთვის თანმიმდევრულობა საკმაოდ მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი ფაქტორია, თუმცა რამდენიმე დეტალი იმის შესახებ, თუ როგორ აისახა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები და ამ ფონზე - საქართველოს ხელისუფლების მიერ შერჩეული ეკონომიკური პოლიტიკის საქართველოს ეკონომიკის ზრდასა და 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე.

უკვე არაერთხელ ითქვა, რომ 2012 წლის ბოლოდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლებისა და არჩევნებით გამოწვეული გაურკვეველობის გამო საქართველოს ეკონომიკური ზრდა შენედა. ოთხი მაჩვენებელიდან სამი - ერთობლივი მოთხოვნა, ინვესტიციები და სამთავრობო ხარჯები - შემცირდა. ერთადერთი მაჩვენებელი, რომელიც გაუმჯობესებას აღინიშნა, წმინდა ექსპორტია, თუმცა ეს გაუმჯობესება ისეთი მკვეთრი არ ყოფილა, რომ სხვა კატეგორიებში კლება გადაეფარა.

სტატისტიკა ადასტურებს, რომ 2013 წლისთვის დაგეგმილი 6-პროცენტიანი ზრდის პროგნოზი უკვე ისტორიას ჩაბარდა და ის, სადაც, 2,5-3 პროცენტის ფარგლებში განისაზღვრა. აქვე გვინდა, ვთქვათ, რომ 2013 წელს, ზოგადად, გარდამავალ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის კლება აღინიშნება, განსაკუთრებით რუსეთსა და თურქეთში, რამაც, შესაძლოა, საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივა გააუარესა. ზოგადად, გარდამავალი ქვეყნების საშუალო ეკონომიკური ზრდა 2013 წელს 2,2 პროცენტს შეადგენს, რომლის მცირედი გაუმჯობესებაც 2014 წელს არის მოსალოდნელი.

ეს, ცხადია, ბიუჯეტზეც აისახა: 9 თვის მდგომარეობით, ბიუჯეტის შემოსავლების შესრულება, დაახლოებით, 66 პროცენტითა და ასეთი დინამიკით ბიუჯეტის შემოსავლების დანაკლისი, სადაც, 1 მილიარდამდე იქნება. რაც შეეხება ხარჯების დინამიკას, 9 თვის მდგომარეობით, შემოსულობები ვერ ახალანსებს გადასახდელს და ეს სხვაობა, დაახლოებით, 27 მილიონამდეა.

საინტერესოა, რომ საქართველოს გარდა, წელს ეკონომიკური ზრდის კლება სოფლის მეურნეობის სექტორის და საბიუჯეტო ხარჯების შემცირების გამო ასევე მოსალოდნელია სომხეთში. საბიუჯეტო ხარჯების შემცირება ეკონომიკური ზრდის შენელების მთავარ მიზეზად სახელდება საქართველოშიც. საერთაშორისო სავალსებო ფონდი ზრდის შენელების გამოწვევად სხვა ფაქტორებად კერძო ინვესტიციების კლებას და სუსტ საკრედიტო ზრდას ასახელებს.

რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ ამ სიტუაციაში? პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების პირობებში ახალი მთავრობის მთავარი გამოწვევა ნამყნად სექტორებში ინვესტიციების ხელშესაწყობად კერძო წყაროების მოზილიზებაა. ის ფონდები, რომელთა შექმნის შესახებაც მთავრობამ გამოაცხადა, სწორედ ამ გამოწვევაზე პასუხის გაცემის მცდელობაა. რამდენად ეფექტური იქნება ამ ფონდების საქმიანობა, რამდენად შეძლებენ ისინი განვითარებაზე ორიენტირებული საბიუჯეტო პოლიტიკის ჩანაცვლებას და საერთაშორისო წინაპირობების დაძლევისას, ამის შესახებ ბევრი კითხვა არსებობს.

კლება აღინიშნება ბანკების საკრედიტო აქტივობაში, რაც ბიზნესის სექტორის ბრუნვის შემცირებით გამოიხატება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი რეკორდულად დაბალ ნიშნულამდე - 3,75 პროცენტამდე შეამცირა; თუმცა, დეფლაციის პირობებში რეალური საპროცენტო განაკვეთი ნომინალურზე მაღალია. ამიტომ, შეიძლება საპროცენტო განაკვეთის შემცირებით შემცირების შესაძლებლობის სიფრთხილით განხილვა, თუ აგრეგირებული მოთხოვნისა და ხარჯების ზრდის პოტენციალი აშკარაა.

საქართველოს მთავრობისადმი სხვის რეკომენდაციები რიგი ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისკენ მოუწოდებს, რომლებიც ითვალისწინებს მთავრობის მიერ პროდუქტიული ხარჯების ზრდას, რათა მოითხოვოს ზრდას შეეწყოს ხელი.

თუ უფრო ვასაგებად ვიტყვი, საერთაშორისო სავალსებო ფონდი ამბობს, რომ სახელმწიფომ ბიუჯეტიდან პროდუქტის შექმნაზე ორიენტირებული ხარჯები აწუ, მაგალითად, მათ შორის ინფრასტრუქტურული ხარჯები უნდა გაიზაროს.

საქართველოს ხელისუფლების მიერ 9 თვის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო პოლიტიკა ამ რეკომენდაციას არ ითვალისწინებდა, 2014 წლის ბიუჯეტის პროექტიც, როგორც აღვნიშნეთ, სოციალურ ხარჯებზეა ორიენტირებული და ნაკლებად - განვითარების უზრუნველყოფაზე ხარჯებზე, რაც შეიძლება, პრობლემის შენარჩუნების წინაპირობა გახდეს.

საქართველოს მთავრობის განცხადებით, ასეთი პოლიტიკის გატარება გაუმართლებელია, რადგან ინფრასტრუქტურული პროექტები კერძო სექტორმა უნდა დააფინანსოს. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ეკონომიკური ზრდა უმთავრესად ეკონომიკის სექტორში სამთავრობო აქტივობის შედეგი იყო. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პროექტების შექვეცა მანამ, სანამ მათ განხორციელებას კერძო სექტორი საკუთარ ხელში აიღებდა, ასევე გაუმართლებელია; ასეთი ნაბიჯების შედეგები იმ ეკონომიკური და საბიუჯეტო მონაცემებით დასტურდება, რომლებიც დღეს ვაქცევს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კვლავ ესაჭიროება მსხვილი საბაზისო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომლებსაც მხოლოდ კერძო სექტორი იშვიათად აფინანსებს. ამ თვალსაზრისით, შესაძლოა, სასარგებლო იყოს კერძო და საჯარო სექტორების შორის პარტნიორობის სქემების შემუშავება და განხორციელება.

საბოლოო ჯამში, საქართველოს ეკონომიკის განვითარების ბოლო ტენდენციების მიმოხილვა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ აუცილებელია მთავრობის მხრიდან მწყობრი და კომპლექსური ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკმაოდ ვართულებდა ეკონომიკის განვითარების ტენდენციების კლების შეჩერება და

პირველი გვირგვინი

სულ მალე რიგაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ჩამოვა, რათა ლატვიის გამოცდილება გაიზიაროს, - თქვა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, ანდრის ბერნიშმა აღნიშნა, რომ 18 ნოემბერი ლატვიის დამოუკიდებლობის დღეა და ამიტომ 17 ნოემბერს საქართველოში ინაუგურაციაზე ჩამოსვლას ვერ მოახერხებს, მაგრამ ლატვიის პრეზიდენტი კმაყოფილებით დასძენს, რომ ვილნიუსის სამიტზე მას საშუალება მიეცემა, გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტად არჩევა პირადად მიულო-

# ევროკავშირისკენ ბალტიისპირეთის გავლით

ცოს.

პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე, ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი გაჩეჩილაძე და ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის წევრი, უმცირესობის წარმომადგენელი დავით დარჩიაშვილი.

დარჩიაშვილის შეფასებით, ლატვიის პრეზიდენტ-

თან შეხვედრა დამაგვირგვინებელია, ამით შეიკვრება იმ დამოკიდებულების წრე, რაც ლატვიას საქართველოს მიმართ აქვს. **„ლატვია საქართველოს მეგობარი ქვეყანაა, მე ვიტყვი, სტრატეგიული პარტნიორიც. მას საქართველოს მისწრაფებები ესმის. წლების განმავლობაში ურთიერთობის კარგი ტრადიცია იყო. თუ ეს გაგრძელდება, რა თქმა უნდა, საქართველოს ევროპული არჩევანის განხორციელებას წაადგება,“** - მიიჩნევს დავით დარჩიაშვილი.

ვიქტორ დოლიძის თქმით, ლატვიაში გამართული შეხვედრები მნიშვნელოვანია და მთავარია, რომ ეს ორივე ქვეყნის მხრიდან რეალურ საქმეში

გადაიზარდოს.

დავით უსუფაშვილმა ლატვიაში ვიზიტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში - «არჩევნების შემდგომი და ვილნიუსის სამიტამდე პერიოდი საქართველოში.»

ვილნიუსში გამგზავრებამდე კი უსუფაშვილმა თქვა, რომ მას ვილნიუსში, ამავე რანგის შეხვედრები ექნება. პარლამენტის თავმჯდომარე ლატვიას და ლიტვას საქართველოსთვის ახლოს მდგომ ქვეყნებად მიიჩნევს. სპიკერი აზუსტებდრების დღის წესრიგს, ბუნებრივია, ვილნიუსის სამიტთან დაკავშირებული თემები დაემატება.

საკუთარი ინფორმაცია

# პრეზიდენტმა რეზო ქარბაძე და სერბი ბონდარჩუკი დააჭილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ენციხის ბუნტის საქმეში ბაჩო ახალაიასთან ერთად ბრალდებული რევაზ ჭარბაძე შეინიშნა და საქართველოს თავდაცვისუნარიანობაში შეტანილი წვლილისთვის, უკრაინის რადას წევრ სერგეი ბონდარჩუკთან ერთად, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. დაჯილდოება ყვარელში შედგა. რეზო ჭარბაძის ჯილდო მის დედას მარინა კიკნაძეს გადაეცა.

**„ჩვენ ტელევიზიით სულ ვხედავთ პოლიტიკოსებს, სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირებს, მაგრამ ბოლო წლებში საქართველოს განვითარებაში ყველაზე მთავარი როლი იმ ხალხმა შეასრულა, ვინც არ ჩანდა, თუმცა მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდა.**

**„მე არა მხოლოდ უყოყმანოდ ვაწერ ხელს რეზო ჭარბაძის შეწყალების დოკუმენტს, არამედ ვაჯილდოვებ მას ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით, ნიშნად დაფასებისა იმ დიდი ღვაწლისა, რაც საუკუნეების შემდეგ ქართული ენების დამსახურებას აღორძინებით და შექმნილ გამოიხატა. მაღლობს ვუხედი მას იმ რწმენის დაბრუნებისთვის, რომ ქართველებს ყველაზე რთული ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტა ხელეწიფებთ სწორი ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის პირობებში.**

**მთავარია, მალე დადგეს ის დრო, როდესაც რეზო და მისი მსგავსი სპეციალისტები საქართველოში დაბრუნებას და აღმშენებლობის შემდეგ ტალღაში მონაწილეობას შეძლებენ,“** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

რაც შეეხება სერგეი ბონდარჩუკს, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, თუ საქართველომ რუსეთის აგრესიას გაუძლო, ეს ისეთი ადამიანების დამსახურებაა არის, როგორც უკრაინის რადას წევრი სერგეი ბონდარჩუკია.

ქართველომ რუსეთის აგრესიას გაუძლო, ეს ისეთი ადამიანების დამსახურებაა არის, როგორც უკრაინის რადას წევრი სერგეი ბონდარჩუკია.

**„საქართველოზე თავდასხმა მოხდა, მაგრამ ეს არ იყო თავდასხმა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაზე - ეს იყო თავდასხმა ყველა თავისუფლებისმოყვარე პოსტსაბჭოთა ერზე; საქართველოს, სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, მოუწია, ამ თავდასხმის პირველი ზღუდე ყოფილიყო და საქართველომ გაძლო. ამიტომ ისეთი ხალხი, ისეთი მეგობრები, როგორც ჩვენთვის სერგეი ბონდარჩუკია, რომლის მეშვეობითა და დახმარებითაც შევძელი ბრძოლა, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია,“** - განაცხადა პრეზიდენტმა.

დაჯილდოების შემდეგ ქვეყნის პირველი პირი ახალგაზრდებს შეხვდა, მათ წინაშე 9-წლიანი მმართველობის მიღწევებზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ კარგი სპეციალისტები საქართველოს არ დატოვებენ.

**„მე მქონდა დიდი პრივილეგია და უზომოდ მაღლიერი ვარ ჩემი ხალხის, რომ 9 წლის განმავლობაში გვექონდა შესაძლებლობა, ჩვენი ხალხის მანდატით ყველაფერი გავეკეთებინა საქართველოს მრავალი საუკუნეან არ ჰქონია სასახლე, რადგან დამპყრობელს არ უნდოდა ეს. ეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა. ეს შენობა მხოლოდ პრეზიდენტის სასახლე უნდა იყოს, სხვა არაფერი, რადგან ასეა აშენებული და ის არ ყოფილა მორგებული მიშავე. ის საუკუნეების განმავლობაში უნდა დარჩენილიყო,“** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ქალაქების ახალ ადგილებს, ეს, რა თქმა უნდა, კონკრეტული ადამიანების გაკეთებულია. მე არც სამშენებლო ტექნიკის გამოყენება ვიცი კარგად და დიდად არც ფიზიკურად მიშრობია. ყველაფერს კონკრეტული ადამიანები, ჩვენი მოქალაქეები აშენებდნენ. ამას წინათ ვთქვი და გავიმეორებ, რომ წარმოიქმნა მიშას თაობა, მიშას დროინდელი თაობა, ქართველების, ჩვენი თანამემამულეების, საქართველოში მცხოვრები ყველა ითნიკური ჯგუფის წარმომადგენლის. ამ ხალხის შენარჩუნება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია, კარგმა სპეციალისტებმა, ჩვენმა ხალხმა არ დატოვოს საქართველო,“ - განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის რეზიდენციაში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის განთავსებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტის სასახლე სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა.

**„მთავარია, ყოველთვის მომავალზე ვიყოთ ორიენტირებულნი. აი, მაგალითად, მთელი ამ დღეების განმავლობაში მიდის საშინელი კამათი იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს პრეზიდენტის სასახლეში. საქართველოს მრავალი საუკუნეან არ ჰქონია სასახლე, რადგან დამპყრობელს არ უნდოდა ეს. ეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა. ეს შენობა მხოლოდ პრეზიდენტის სასახლე უნდა იყოს, სხვა არაფერი, რადგან ასეა აშენებული და ის არ ყოფილა მორგებული მიშავე. ის საუკუნეების განმავლობაში უნდა დარჩენილიყო,“** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

# შენყალბა და პრეზიდენტის პრივილეგია

პირველი გვერდიდან

ომბუდსმენისა და არასამთავრობოების ნაწილის მოსაზრებას გარკვეულწილად აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც იზიარებენ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მიიჩნევს, რომ შეწყალვის ინსტიტუტს რეფორმირება სჭირდება. მინისტრის თქმით, უნდა დაიხვეწოს ის პროცედურა, თუ როგორ ხდება პრეზიდენტის მაგიდაზე ხელმოსაწერად ესა თუ ის შეწყალვის აქტი. თუმცა წულუკიანი პატიმრების კატეგორიებად დაყოფის წინააღმდეგაა და ფიქრობს, რომ პრეზიდენტს ყველანაირი პატიმრის შეწყალვა უნდა შეეძლოს.

„საერთოდ, შეწყალვის ინსტიტუტი ისევე, როგორც საპატიმროებში სასჯელის მოხდის მიმდინარეობა, რა თქმა უნდა, რეფორმას საჭიროებს. მე არ ვარ იმ აზრის, რომ პატიმრები კატეგორიებად უნდა დაიყოს და პრეზიდენტს ზოგიერთის შეწყალვა შეეძლოს და ზოგიერთის არა - პრეზიდენტს ყველანაირი პატიმრის შეწყალვა უნდა შეეძლოს და ეს არ არის პრობლემა. პრობლემა, ჩემი აზრით, თავად პროცედურაა - უნდა დაიხვეწოს პროცედურა, თუ როგორ ხდება პრეზიდენტის მაგიდაზე ხელმოსაწერად ესა თუ ის შეწყალვის აქტი. სწორედ პროცედურა უნდა გადაიხედოს და საზოგადოებისთვის გამჭვირვალე იყოს,“ - განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე განმარტებით, შეწყალვის კომისიაც ახალ პროცედურებს უნდა დაექვემდებაროს.

„ის კომისია, რომელიც შეწყალვაზე მუშაობს, რაღაცნაირად ახალ პროცედურებს უნდა დაექვემდებაროს და პრეზიდენტთან უნდა მიდიოდეს მხოლოდ იმ პატიმრების საქმეები, ვინც ნამდვილად იმსახურებს შეწყალვას, ხოლო პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, უნდა შეეძლოს, მოაწეროს ან არ მოაწეროს ხელი ამა თუ იმ პროექტს,“ - განაცხადა წულუკიანმა.

ამასთან, იუსტიციის მინისტრის განცხადებით, საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი იმდენად გონიერია, რომ მისგან ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები გამოირიცხება.

„მთავარია, რომ ჩვენ უკვე გვყავს გონიერი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პრეზიდენტი და მის პირობებში გამოირიცხება იმგვარი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, როგორც ბაჩო ახალაიას მიმართ ვიხილეთ,“ - განაცხადა წულუკიანმა.

სახალხო დამცველს ინიციატივა მიუხრანა სასჯელსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა. მისი თქმით, პრეზიდენტს შეწყალვის უფლება უნდა დარჩეს, თუმცა ფორმებზე მსჯელობა აუცილებელია. სუბარმა ასევე აღნიშნა, რომ მსგავსი უფლება მის უწყებასაც გააჩნდა, თუმცა პარლამენტს მიმართა და უფლება შეიზღუდა.

„ასეთივე უფლება ჰქონდა სასჯელსრულების სამინისტროს. მაგალითად, სასამართლოს შეეძლო, ნარკომომხმარებლისთვის მანქანის ტარება, სამსახურში დანიშნვის უფლება შეეზღუდა და

სასჯელსრულების სამინისტროს შეეძლო, ამ უფლებისთვის იმავე დღეს გადაეხედა და გაეუქმებინა. ჩვენ თვითონ ვიყავით ინიციატორები, რომ ეს უფლება შეზღუდულიყო, პარლამენტსაც შესაბამისი ინიციატივით მივმართეთ და ჩვენს თავს ეს უფლება თავადვე შევზღუდეთ. ძალიან კარგად მესმის, რომ პრეზიდენტის თანამდებობა კონსტიტუციის მოქმედების ქვეყანაში დემოკრატიის მშენებლობის გარანტიაა და როცა ქვეყანაში ასეთი ფიგურა გყავს, არ უნდა ექონდეს იმის განცდა, რომ განსაკუთრებული შეზღუდვები დაუწესო, მაგრამ ამ გამოცდილებამ, რომელიც სააკაშვილს შეეხებოდა, გვაჩვენა, რომ როდესაც ასეთი პრეზიდენტი გყავს, ასეთი შეზღუდვების დაწესება აუცილებელია,“ - განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისი თქმით, სააკაშვილმა შეინიშნა ადამიანები, რომლებიც ციხეში არც ერთი დღე არ მსხდარან და ძეხნილები იყვნენ, რაც დაუშვებელია.

„ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ზურაბ ადგიშვილის ძმას და თავდაცვის მინისტრის ყოფილ მოადგილე ნიკოლოზ ძიმცივიშვილს. ასევე ნარკოვალისაზოგადმომხმარებელ სკანდალს. პრეზიდენტმა 25-ზე მეტი ნარკოვალისაზოგადმომხმარებელი შეინიშნა, რომელთაგან ზოგიერთი ერთხელ უკვე იყო შეწყალებული. იმას არ ვამბობ, რომ რაღაც მუხლები უნდა არსებობდეს, რომლებსაც შეწყალვა საერთოდ არ უნდა ეხებოდეს. შეიძლება, ძალიან მძიმე მუხლი იყოს, მაგრამ გარკვეული ვითარებებიდან გამომდინარე, შეწყალვა შეეძლოს - კერძოდ, ამ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მაგრამ როცა ასე ზეპირად აწერ სიას ხელს და არც ჯანმრთელობის მდგომარეობა იცი და არც პიროვნებებზეა შესწავლილი, საუბარი ცოტა ძნელია,“ - განაცხადა სუბარმა.

უჩა ნანუაშვილის და არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციას მომხრეობენ საპარლამენტო უმრავლესობაშიც გამოუჩნდნენ. დემუტატი ეკა ბესელიას განცხადებით, შეწყალვის გადაწყვეტილების მიღებისას პრეზიდენტის უფლებამოსილებების შესახებ შესაძლოა, უფრო მკაფიო განმარტებები გაკეთდეს.

„როგორც ჩანს, შეიძლება, უფრო მკაფიო ფორმულირება გახდეს საჭირო, რათა გარკვეული საზღვრები დავადგინოთ,“ - აღნიშნა ბესელიამ.

საპარლამენტო უმცირესობაში კი მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტს ახალი კონსტიტუციით უფლებები ისედაც ეზღუდება და დამატებით რეგულაციების დაწესება საჭირო არ არის.

ნუგზარ ნიკლაურის აზრით, პრეზიდენტი არ უნდა გადაიქცეს ისეთ თოჯინად, რომელსაც ქვეყანაში არავინ არაფერს ეკითხება.

„მართო ის რად ღირს, რომ პირველი ლედიც კი არ არის პირველი ლედი მისთვის და არ მგონია, რომ დამატებითი უფლებებიც უნდა შევზღუდოთ,“ - განაცხადა ნიკლაურმა.

## ბაჩო ახალაიას ადვოკატები მოსამართლეებს ურიცხვან

პირველი გვერდიდან

ამასთან, გოგა ონიანი, ყურნა-ლისტეტიან სუბრისას, ლევან კორტავას მკვლელობის საქმესაც შეეხო და აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები კორტავას საქმეზე ბრალდებულ ციხის დირექტორს საქართველოს ტერიტორიის დატოვებაში დაეხმარნენ.

ონიანის განცხადებით, თუ ხელისუფლება ამის უარყოფას ეცდება, ისინი შესაბამის მტკიცებულებებს წარმოადგენენ.

„დღევანდელ ხელისუფლებას გაცხადებული აქვს პოლიტიკა,

რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს. ამავდროულად, ლევან კორტავას მკვლელობაში ეჭვმიტანილ ციხის დირექტორს მალხაზ სინაურიძეს, რომელსაც აღკვეთის ღონისძიება შეუფარდეს, დღევანდელმა მთავრობამ ხელი შეუწყო, საქართველო დაეტოვებინა. წყაროს ინფორმაციით, რამდენიმე კვირის წინ ეს ადამიანი, მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, აეროპორტში მივიდა და საქართველო დატოვა. იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლება ეცდება და ამ დანაშაულს უარყოფს, ჩვენ შესაბამისი მტკიცებულებებიც გვაქვს და მათ წარმოვადგენთ,“ - განაცხადა ბაჩო ახალაიას ადვოკატმა.

ციხისათვის: სასამართლომ შს და თავდაცვის ყოფილი მინისტრი მის წინააღმდეგ წაყენებულ ორ საქმეზე უდანაშაულოდ ცნო. კერძოდ, ბაჩო ახალაიას „შვიდი სპეცოპზმე-ლის“ საქმეზე, სამხედრო მოსამსახურეებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, თავისუფლების აღკვეთის და ზვიად აბესაძესთან დაკავშირებულ ეპიზოდზე გამართლდა.

რაც შეეხება «ციხის ბუნტის» საქმეს, მოსამართლემ ლაშა ჩხიკვაძემ ახალაიას გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა და 3 წლითა და 9 თვით პატიმრობა მიუსაჯა. აღნიშნულ საქმეზე შს და თავდაცვის ყოფილი მინისტრი პრეზიდენტმა შეინიშნა, თუმცა ამის მიუხედავად ახალაია საპატიმროში რჩება, რადგან მას ცოტა ხნის წინ ახალი ბრალი წარედგინა, რომელიც სანდრო გირგულიანის საქმეს ეხება.

პროკურატურა ბაჩო ახალაიას სანდრო გირგულიანის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში მონაწილე პირთათვის უკანონო უპირატესობის მინიჭებას ედავება.

აღნიშნულ საქმეზე სასამართლო პროცესი 18 ნოემბერს არის ჩანიშნული.

შს-ს ინფორმაციით, 2013 წლის ოქტომბრის თვე 480 510 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 14,1 პროცენტით მეტია.

რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბრის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 4 556 110 ვიზიტი განხორციელდა, რაც 23,7 პროცენტით მეტია 2012 წლის ანალოგიური საწინააღმდეგო პერიოდის მაჩვენებელზე და უკვე გაასწრო 2012 სრული კალენდრული წლის მონაცემებს. ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, მონაცემთა ურთიერთმიმართება შემდეგია: ა) ტურისტები - 1 785 244 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 39,2 პროცენტი); ბ) ტრანზიტები - 1 001 010 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 22 პროცენტი); გ) ტრანზიტები - 1 769 856 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38,8 პროცენტი); დ) ტრანზიტები - 1 769 856 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38,8 პროცენტი).

2013 წლის ოქტომბერში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (+10 პროცენტი), აზერბაიჯანიდან (+13,5 პროცენტი), სომხეთიდან (+34,3 პროცენტი), რუსეთიდან (+37 პროცენტი), უკრაინიდან (+58,6 პროცენტი) და ირანიდან (+26,7 პროცენტი) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით იანვარ-ოქტომბერში, უკვე ტრადიციულად პოლონეთი-ჩეხეთი-ავსტრიასთან ერთად, კვლავ გამოირჩენ საფრანგეთი, იტალია და გერმანია (შესაბამისად 70, 34, 27, 20, 17 და 17 პროცენტი), შუა აზიის ქვეყნებიდან - ყაზახეთის (39 პროცენტი), ახლო აღმოსავლეთიდან - ისრაელის (31 პროცენტი), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი - ბელარუსის მოქალაქეები 61-პროცენტით მატებით.

სახელმწიფო საზღვრის კვეთის მხრივ ცალკე აღსანიშნავია საქართველოს მოქალაქეთა აქტივობის ზრდაც, რაც მიმდინარე წლის პირველ 10 თვეში 22,4 (მემოსვლა) და 22,8 (გასვლა)-პროცენტთან მატებაში გამოისახა.

## მოლაპარაკებების 25-ე რაუნდი ქენევაში

ქენევაში კავკასიის კრიზისის საკითხების შესახებ საერთაშორისო დისკუსია მიმდინარეობს. მოლაპარაკებების 25-ე რაუნდის დაწყებამდე, გუშინ მხარეებმა, საერთაშორისო სპეციალისტების მონაწილეობით, შეხვედრის დღის წესრიგზე იმსჯელეს. ამასთან, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, სადაც საერთაშორისო ექსპერტები მოლაპარაკებების მხარეებს შეხვედნენ და გადაადგილების თავისუფლების შესახებ, რომელიც საერთაშორისო-ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებების პრაქტიკას ეხება, პრეზენტაცია წარუდგინეს.

ქენევაში საქართველოს დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის ხელმძღვანელობით იმყოფება. როგორც იგი ამბობს, მოლაპარაკებების პირველ სამუშაო ჯგუფში საქართველოს ხელისუფლება უსაფრთხოების, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების მონიტორინგის და ძალის გამოყენების მეთოდების შეთანხმების საკითხებს დააყენებს.

მოლაპარაკებების დაწყებამდე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა აღნიშნა, რომ 25-ე რაუნდიდან პროგრესს ელის. დავით ზალკალიანის შეფასებით, თუკი რუსეთის მხარეს მისი მხრიდან ძალის გამოყენების ვალდებულების აღება აქვს მხედველობაში, ეს მართლაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, რასაც ქართული მხარე მიესალმება. საქართველომ ძალის გამოყენებაზე უარი ცალმხრივად უკვე განაცხადა.

ოსური საინფორმაციო სააგენტო REC-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქენევაში ძალის გამოყენების შესახებ ერთობლივი განცხადების ხელმოწერა იგეგმება. როგორც ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის მართლმადიდებელი პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში მურატ ჯიოევი ამბობს, დისკუსიის ამოცანაა ხელშეკრულების შექმნა, რომელიც საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის გაფორმდება.

წინადადება, რომელსაც ამჯერად ჯიოევი აყენებს, წლების განმავლობაში უთანხმოების საგანია. საქართველოს ხელისუფლება მართლმადიდებელ მთავრობებთან შეთანხმების გაფორმებაზე პრინციპულად უარს ამბობს. ოფიციალური თბილისი შეიძლება, შეთანხმების მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან გააფორმებას დაეთანხმოს.

მოლაპარაკებებში ქართული მხრიდან ასევე მონაწილეობს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე. მისი ინფორმაციით, მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე კი ოკუპირებულ ტერიტორიებზე დევნილთა დაბრუნებისა და ცხინვალის რეგიონში წყლისა და ბუნებრივი აირის მიწოდების საკითხებზე იმსჯელებენ. ორივე სამუშაო ჯგუფში მონაწილეები ინდივიდუალური სტატუსით არიან წარმოდგენილი. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთი ციხელაშვილის განცხადებით, შეხვედრებზე საქართველოს მხარე მწვავედ დააყენებს მავთულხლართების თემას და

იმ ჰუმანიტარულ შედეგს, რომელიც ადგილზეა. კონკრეტული შედეგებია, რომლებიც სამაგალითოა და ილუსტრირება იმისა, თუ რა ტიპის პრობლემებს აწყდებიან ადგილობრივები: გადაადგილების პრობლემა, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის შეზღუდვა და სხვა, - აღნიშნა ციხელაშვილმა. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, რომელიც ქართული დელეგაციის შემადგენლობაშია, აღნიშნავს, რომ იგი

გალის რაიონში შექმნილი ვითარების შესახებ ისაუბრებს. გამწვავებულია კრიმინალური ვითარება, ხალხს იტაცებენ, სკოლებში მოსწავლეებს ადგილზე გაცემულ დაზავების მონიშვნებს სთხოვენ, - ამბობს ყოლბაია.

მოლაპარაკებები დღეს, საღამოს დასრულდება. თანათავმჯდომარეები შედეგების შესახებ განაცხადებენ. შეხვედრებზე საქართველოს მხარე მწვავედ დააყენებს მავთულხლართების თემას და

საკუთარი ინფორმაცია

## ფრანსუა ოლანდი გიორგი მარგველაშვილს არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს. ფრანსუა ოლანდის მისალოც ნერილს, რომელიც 1 ნოემბრით თარიღდება „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

„ბატონო პრეზიდენტო, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის გთხოვთ, მიიღოთ ჩემი და საფრანგეთის ერის გულწრფელი მილოცვა. მივესალმები არჩევნების ისეთ ვითარებაში ჩატარებას, რომელიც, ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის წინასწარი ანგარიშის თანახმად, კონკურენტული და გამჭვირვალე იყო, რაც დემოკრატიულობასთან და კანონის უზენაესობასთან საქართველოს სიახლოვეზე მეტყველებს.

მომავალი თქვენთან სიხარული ვითანამშრომლებ, რათა ჩვენს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა და მეგობრული ურთიერთობები გაფართოვდეს. იმედს ვიტოვებ, რომ შეგვხვდებით 29 ნოემბერს დაგეგმილ ვილნიუსის სამიტზე, რომელთაც ევროკავშირსა და საქართველოს თანამშრომლობის ახალი ეტაპი აღინიშნება. ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულთბილი სალოცვა,“ - ნათქვამია ფრანსუა ოლანდის მილოცვაში.

საფრანგეთის პრეზიდენტის მისალოც ნერილი „ინტერპრესნიუსს“ გიორგი მარგველაშვილის პრესსამსახურმა მიანიშნა.

## ვახტანგ ხმალადი: საქართველოში სამეფო გვარისადმი ტრადიციული პატივისცემა შეუძლებელია აღდგეს

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელ ვახტანგ ხმალადს საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა არარეალისტურად არაარაციონალურად იდგენ მიაჩნია. ხმალადი ამ კონტექსტში ყურადღებას ამახვილებს მონარქიულ წყობილებასთან ორსაუკუნოვან წყევტაზე და აცხადებს, რომ „წყევტა იმდენად დიდია, რომ სამეფო გვარისადმი ის ტრადიციული პატივისცემა და როლი, რომელსაც ტრადიციულ მონარქიებში მონარქები ასრულებენ, შეუძლებელია, საქართველოში აღდგეს.“

„რაც თავი მისთვის, მონარქიის აღდგენაზე საქართველოში ყოველთვის იყო საუბარი. მე ყოველთვის გამოეთქვამდი ჩემს აზრს იმის შესახებ, რომ საქართველოში ამის გაკეთება არარეალისტურად და არარაციონალურად მიმაჩნია. ამის ბევრი მიზეზი არსებობს. ერთ-ერთი არის ის, რომ ძალიან დიდია, ორსაუკუნეზე მეტი წყევტა მონარქიულ წყობილებასა და არამონარქიულ წყობილებას შორის. ორ საუკუნეზე მეტს იმტომ ვამბობ, რომ რუსეთის იმპერატორს საქართველოში საქართველოს იმპერატორად და საქართველოს მეფედ არასდროს აღიქვამდნენ. ჩვენი მეფე 1801 წელს დამთავრდა. ეს წყევტა იმდენად დიდია, რომ სამეფო გვარისადმი ტრადიციული პატივისცემა და ის როლი, რომელსაც ტრადიციულ მონარქიებში მონარქები ასრულებენ, ჩემი აზრით, საქართველოში შეუძლებელია, აღდგეს,“ - განაცხადა ხმალადი გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ამასთან, დემუტატის აზრით, სამომავლოდ არც ის არის გამორიცხული, საზოგადოებაში ჩამოყალიბდეს აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოსთვის ყველაზე უკეთესი მოდელი საპარლამენტო მონარქიაა.

„თუმცა, არა მგონია, სანამ მე ცოცხალი ვარ, ეს მოხდეს,“ - დასძინა ხმალადი.

მან საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელის უპირატესობაზე კიდევ ერთხელ გააკეთა აქცენტი და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით საკუთარი პოზიციის დაცვას ყოველთვის შეეცდება.

## შსს საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრი აგრძელებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემების შესახებ საზოგადოების ყოველთვიურ ინფორმირებას.

შს-ს ინფორმაციით, 2013 წლის ოქტომბრის თვე 480 510 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 14,1 პროცენტით მეტია.

რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბრის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 4 556 110 ვიზიტი განხორციელდა, რაც 23,7 პროცენტით მეტია 2012 წლის ანალოგიური საწინააღმდეგო პერიოდის მაჩვენებელზე და უკვე გაასწრო 2012 სრული კალენდრული წლის მონაცემებს. ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, მონაცემთა ურთიერთმიმართება შემდეგია: ა) ტურისტები - 1 785 244 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 39,2 პროცენტი); ბ) ტრანზიტები - 1 001 010 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 22 პროცენტი); გ) ტრანზიტები - 1 769 856 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38,8 პროცენტი); დ) ტრანზიტები - 1 769 856 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38,8 პროცენტი).

2013 წლის ოქტომბერში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (+10 პროცენტი), აზერბაიჯანიდან (+13,5 პროცენტი), სომხეთიდან (+34,3 პროცენტი), რუსეთიდან (+37 პროცენტი), უკრაინიდან (+58,6 პროცენტი) და ირანიდან (+26,7 პროცენტი) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით იანვარ-ოქტომბერში, უკვე ტრადიციულად პოლონეთი-ჩეხეთი-ავსტრიასთან ერთად, კვლავ გამოირჩენ საფრანგეთი, იტალია და გერმანია (შესაბამისად 70, 34, 27, 20, 17 და 17 პროცენტი), შუა აზიის ქვეყნებიდან - ყაზახეთის (39 პროცენტი), ახლო აღმოსავლეთიდან - ისრაელის (31 პროცენტი), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი - ბელარუსის მოქალაქეები 61-პროცენტით მატებით.

სახელმწიფო საზღვრის კვეთის მხრივ ცალკე აღსანიშნავია საქართველოს მოქალაქეთა აქტივობის ზრდაც, რაც მიმდინარე წლის პირველ 10 თვეში 22,4 (მემოსვლა) და 22,8 (გასვლა)-პროცენტთან მატებაში გამოისახა.

### გაერო: სირიის 9 მილიონ მოქალაქეს სასწრაფოდ სჭირდება დახმარება

გაეროს უშიშროების საბჭომ მთელი პოლიტიკური ავტორიტეტი უნდა გამოიყენოს, როგორც რეჟიმის, ასევე ოპოზიციის მიმართ, რათა იმ ხალხის დახმარება მოხდეს, რომელთაც ეს სჭირდებათ. „ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, კონფლიქტის შედეგად, რომელიც 2011 წლის მარტში დაიწყო, საკუთარი საცხოვრებელი 6,5 მილიონმა სირიელმა დატოვა. კონფლიქტს 110 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა, ორი მილიონი სირიელი კი ლტოლვილად იქცა.

გუშინ ვენეციაში დაიწყო შეხვედრა, რომლის მიზანიც სირიის თემებზე საერთაშორისო კონფერენციის მომზადებაა. აქამდე ეს შეხვედრა მხარეების პოზიციებს შორის მკვეთრი განსხვავების გამო რამდენჯერმე გადაიდო. შეხვედრაში მონაწილეობენ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების, სირიის მეზობელი საელმწიფოების ლიბანის, იორდანის, ირანისა და თურქეთის წარმომადგენლები, ასევე გაეროსა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სპეცნარმომადგენელი ლახდარ ბრაჰიმი.

### კერი: ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგებაზე ვაშინგტონის გეგმები უცვლელია

ირანის ახალ ხელმძღვანელობასთან ამერიკის მთავრობის დიპლომატიური კონტაქტები ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგების შესახებ ამერიკის გეგმებზე გავლენას არ იქონიებს, - ეს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ვარშავაში თავის პოლონელ კოლეგა როდოსლავ სიკორსკისთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. „მსგავსი დასკვნების გაკეთება ნაადრევია. ჩვენ ირანთან შეთანხმება არ გვკავს, არაფერი შეცვლილა და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგების გეგმებიც უცვლელი რჩება,“ - აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა. ჯონ კერი ვარშავაში ორშაბათს საღამოს ჩაფრინდა. ამ სისტემის განლაგება რუსეთის განსაკუთრებულ შემოთავაზებას იწვევს. ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა არაერთხელ განაცხადა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული არ არის.

### მხანაყალაში ფედერალური მოსამართლე მოკლეს

გასულ ღამეს, მხანაყალაში ფედერალური მოსამართლე ზაინუტდინ მადანოვი მოკლეს. „ინტერფაქსის“ ცნობით, მკვლელობა დაღესტანის დედაქალაქის ცენტრში მოხდა. გამოძიების ინფორმაციით, მოსამართლე საკუთარ ავტომობილში მოკლეს. არსებული ინფორმაციით, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოსამართლემ თითქმის 50 განაჩენი გამოიტანა. ეს საქმეები, ძირითადად, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასა და ქურდობებს ეხებოდა.

წელს ეს უკვე მეოთხე მოსამართლის მკვლელობის შემთხვევაა დაღესტანში. იანვარსა და სექტემბერში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები მაკომედ მაგომედოვი და მუხტარ შალიევი მოკლეს; მარტში კი ფედერალური მოსამართლე - აჰმედ რაჯაბოვი. ყველა შემთხვევაში, გამოძიების ვერსიით, მკვლელობა მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება.

### მალში ფრანგი ყურნალისტების სავარაუდო გამტაცებლები დააკავეს

სააგენტო AP-ს ინფორმაციით, მალში ფრანგმა სამხედროებმა, რომლებიც ფრანგი ჟურნალისტების გამტაცებლებსა და მკვლელებს ეძებდნენ, ხუთი ექვმიტანილი დააკავეს. რადიოსადგურმა RFI-მა, სადაც ჟურნალისტები მუშაობდნენ, ეჭვმიტანილების დაკავების შესახებ ინფორმაცია დაადასტურა. საფრანგეთის ხელისუფლებას ამ დრომდე აღნიშნული ინფორმაცია არ დაუდასტურებია. რადიოსადგურ RFI-ს ორი ჟურნალისტი 55 წლის კლოდ ვერლონი და 57 წლის გილენ დიუპონი ქალაქ კიდალში შაბათს გაიტაცეს, ცოტა ხანში კი მათი მკვლელობის შესახებ გახდა ცნობილი.

### „ევროკავშირმა საკუთარი სადაზვერვო სააგენტო უნდა შექმნას“

ევროკავშირის სამართლის კომისარ ვივიენ რედინგის განცხადებით, 2020 წლისთვის ორგანიზაციამ საკუთარი სადაზვერვო სააგენტო უნდა შექმნას. რედინგმა ბერძნულ გამოცემაშიან ამერიკის მოსმენების სკანდალზე საუბრისას აღნიშნა: „ჩვენ ვეროპა ამ ნიადაგზე უნდა ვავაძლიეროთ, რის შემდეგაც ამერიკული პარტნიორების დონეზე ვიქნებით.“ მე მხარს ვუჭერ, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები ამ საკითხში ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ, რის შემდეგაც ჩვენ ამერიკასთან ერთიანი, ძლიერი ხმით შეგვეძლება საუბარი. ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საპირსონო სჭირდება. ჩემი გრძელვადიანი წინადადებაა 2020 წლისათვის ევროპის სადაზვერვო სამსახურის შექმნა,“ - აღნიშნა რედინგმა. ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის ედუარდ სნოუდენის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციის მიხედვით, ამერიკის დაზვერვა მილიონობით ევროპელის სატელეფონო საუბრებს ისმენდა და ელექტრონულ წერილებს კითხულობდა. ამასთან, ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო 35 ქვეყნის ლიდერის სატელეფონო საუბრებს ინერდა, მათ შორის არის გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელიც.

მოამზადა თამთა კახაძემ

# არბენტინაში ხუნტის საიდუმლო დოკუმენტები აღმოაჩინეს



ბუენოს-აირესში, არგენტინის სამხედრო-საპაერო ძალების შტაბბინის მიტოვებულ ფლიგელში აღმოაჩინეს 1500-ზე მეტი საიდუმლო დოკუმენტი, რომლებიც არგენტინაში სამხედრო ხუნტის მმართველობის პერიოდს მოიცავს. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ნაპოვნი მასალები, მათ შორის, ყველა იმ სხდომის ოქმს შეიცავს, რომელსაც სამხედრო მთავრობა აწყობდა. სამხედროები ხელისუფლებაში იყვნენ 1976 წლიდან 1983 წლის ჩათვლით.

აღმოჩენილ მასალებს შორის არის „შავი სიები“ იმ დროის კულტურის მოღვაწეთა სახელებით. მომღერალი მერსედეს სოსა, მწერალი ხულო კორტასარი, მუსიკოსი ოსვალდო პულეზე და მსახიობი ნორმა ალენდრო მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ცნობილი ადამიანებიდან, რომელთა შემოქმედებაც მკაცრ ცენზურას გადიოდა. „ისინი დაყოფილები იყვნენ ოთხ კატეგორიად, მათგან მომდინარე საფრთხის დონის მიხედვით,“ - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა აუგუსტინ როსიმ.

მთავრობა თავის მხრივ აცხადებს, რომ მთელი ეს დოკუმენტები მალე გამოქვეყნდება.

მიმომხილველთა თქმით, ჯერჯერობით არ ჩანს, მოჰფენს თუ არა ნათელს ეს დოკუმენტები სასამართლოებში განსახილველად შესულ იმ ათასობით საქმეს, რომლებიც აღძრულია რეჟიმის წინააღმდეგ. იგილისხმებიან რეჟიმის ის ოპონენტები, რომლებიც ან მოკლულები იპოვეს ან უკვალოდ დაიკარგნენ. იმ წლებში ქვეყანაში მიმდინარე „ჭუჭყიანი ომის“ დროს უამრავი ადამიანი საიდუმლო ციხეებში და სამხედრო

ბაზებზე წამებით მოკლეს, ზოგს კი, მათ შორის ქალებს, თვითმფრინავებიდან პირდაპირ ოკეანეში ყრიდნენ და შემდეგ მათ შვილებს უკანონოდ ითვისებდნენ ან აშვილებდნენ არგენტინაშიც და უცხოეთშიც. ნაპოვნი დოკუმენტებს შორის 280 სამხედრო ხუნტის შეხვედრების ოფიციალურ ოქმებს შეიცავს. თავდაცვის მინისტრის სიტყვებით: „ჩვენს ხელში პირველად აღმოჩნდა დოკუმენტები, რომლებიც სამხედროების მმართველობის მთელ პერიოდს ასახავს. მასალები ინახებოდა ქრონოლოგიურად და დახარისხებულია თემების

მიხედვით,“ - დააზუსტა მან.

ამ აღმოჩენის შესახებ ოფიციალურად გამოცხადდა ბუენოს-აირესში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე, თუმცა სამხედროებს არაფერი უთქვამთ იმ დოკუმენტებზე, რომლებიც ეხება ფოლკლენდის ომის პერიოდს. სწორედ ამ ომის ნაგებამ გადაიყოლა საბოლოოდ სამხედრო ხუნტა.

სამხედროებმა ძალაუფლება ხელში 1976 წელს ჩაიგდეს, როდესაც მაშინდელი პრეზიდენტი ისაბელ პერონი ჩამოაგდეს. ხუნტის მეთაური გახდა გენერალი ხორხე რაფაელ ვიდელა, 1981 წელს კი მან ხელისუფლება გენერალ რობერტო ვიოლეს გადასცა. გენერალი ვიდელა წელს მაისში ციხეში გარდაიცვალა. მას სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის.

ადამიანის უფლებათა დამცველების შეფასებით, ხუნტის მმართველობის 7-წლიანი პერიოდის განმავლობაში 30 ათასი კაცი იქნა მოკლული.

„ბი-ბი-სის“ მიხედვით მოამზადა ივა შილაკაძემ

# ტაჯიკეთში რახმონს მორიგი ვადით ირჩევენ

### პირველი ბავშვიდა

მის გარდა, არჩევნებში კიდევ ხუთი კანდიდატი იყრის კენჭს, მაგრამ ისინი, როგორც მიმომხილველები და ხალხიც აღნიშნავენ, ყველანი ერთი ბანაკიდან არიან. რახმონის გარდა, პრეტენდენტებიდან არც ერთი არ აღიქმება ცნობილ და გავლენიან პოლიტიკოსად ტაჯიკეთში და შესაბამისად მათ მხოლოდ საარჩევნო ანტიურაჟის როლი ეკისრებათ. ემოქალი რახმონი ქვეყანას უკვე, დაახლოებით, 20 წელია, მართავს, 90-იანი წლებიდან, როდესაც ქვეყანაში ჯერ კიდევ სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. მომავალი ვადის დამთავრებისას რახმონის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი ლამის 30 წელს მიაღწევს.

ტაჯიკეთში სახეზეა არჩევნების წინასწარი გაყალბების ტექნოლოგიების მთელი პაკეტი, რაც პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელია. ცენტრალური აზიის ქვეყნებში კი ეს ყველაფერი უფრო გამოკვეთილია. ტაჯიკეთის ხელი-სუფლებამ უკვე გამოიყენა ადმინისტრაციული რესურსი მთლიანად, საარჩევნო სიები, შრომითი მიგრანტების უფლებების შეზღუდვა, ოპოზიციურ პარტიებზე ზენოლა და ხელმოწერების შეგროვებაში ხელის შეშლა, ოპოზიციისთვის მედია-სივრცის დაკეტვა და სხვა.

არჩევნებამდე ინტრიგის რაღაც მსგავსი მაშინ გაჩნდა, როდესაც მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ - „ტაჯიკეთის ისლამური აღორძინების პარტიამ“ პრეზიდენტობის კანდიდატად ადამიანის უფლებათა ცნობილი დამცველი ქალი ოინიხოლ ბობონაზაროვა დაასახელა. «ისლამური აღორძინების პარტია» მმართველი პარტიის შემდეგ ყველაზე გავლენიანი და ამის გათვალისწინებით ბობონაზაროვა ერთადერთი პრეტენდენტი იყო, რომელსაც ემოქალი რახმონისთვის რეალური კონკურენციის განევა შეეძლო. თუმცა ბობონაზაროვას საბოლოო რეგისტრაცია ხელმოწერების საკმარისი რაოდენობის არქონის გამო ვერ მოხერხდა. ამ თემას ცოტა დაწვრილებით შეეხებოდა.

ტაჯიკეთში პრეზიდენტობის კანდიდატმა (თუ მის პარტიას 5-პროცენტიანი ბარიერი არ აქვს გადალახული) ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 210 ათასი მოქალაქის ხელმოწერა უნდა წარუდგინოს. დაიწყოთ იქიდან, რომ ეს ძალიან მაღალი რიცხვია იმ სახელმწიფოსთვის, რომლის მოსახლეობაც 8 მილიონია (აქედან ხმის უფლების მქონე 4 მილიონზე ცოტა მეტია). უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ხმის უფლების მქონე მოსახლეობის, დაახლოებით, 25 პროცენტი შრომითი მიგრანტია, ქვეყნიდან გასულია და, ძირითადად, რუსეთში მუშაობს. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ კანონი ხელმოწერების უცხოეთში შეგროვებას არ ითვალისწინებს, თან მათ ქვეყნიდან გასულთა ხელმოწერების გადამოწმება გაუჭირდებოდათ და ამიტომ შრომით მიგრანტებს მათი სასურველი კანდიდატის ამ ფორმით მხარდაჭერა საერთოდ აუკრძალეს.

ოინიხოლ ბობონაზაროვას მხარდამჭერებმა საკმაოდ აქტიურად იმუშავეს, 201 235 ხელმოწერა შეაგროვეს მაგრამ ცოტა დააკლდათ. ერთი აქტივისტი ახალგაზრდა ქალი უშუალოდ რახმონის რეზიდენციაშიც კი მივიდა პრეზიდენტის ხელმოწერის მისაღებად, მაგრამ დაცვადა არ შეუშვა იმ უბრალო მიზეზით, რომ პრეზიდენტი და მისი ოჯახის წევრები სახლში არ იმყოფებოდნენ. ამ აქტიურ გოგონას უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა სითამამე მოუწონეს და თავიანთ მხარეზე გადასვლაც შესთავაზეს, თუმცა, ცხადია, უშედეგოდ. ბობონაზაროვას მომხრეებს ხელმოწერების შეგროვებაში ხელისუფლება აქტიურად უშლიდა ხელს ჩვეული მეთოდებით და შედეგიც სახეზეა.

«ტაჯიკეთის ისლამური აღორძინების პარტიამ» თავის მომხრეებს მოუწოდა არჩევნებზე წასვლისგან თავი შეიკავონ, თუმცა აღნიშნეს, რომ ეს ოფიციალური ბოიკოტი არ არის. მათ სურთ, ამ ფორმით არადემოკრატიული და უალტერნატივო არჩევნების მიმართ პროტესტი გამოხატონ. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ეს პარტიაზე ზენოლის შედეგია. პესიმისტები არც იმას გამოირიცხავენ, რომ არჩევნების შემდეგ ხელისუფლება გავლენით და წევრთა რაოდენობით ქვეყანაში მეორე პარტიის - «ისლამური აღორძინების პარტიის» აკრძალვასაც შეეცდებოდა.

ბოიკოტი ოფიციალურად სოციალ-დემოკრატიკმა გამოაცხადეს და განაცხადეს, რომ ასეთი არჩევნები ტაჯიკეთის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამ პარტიის წარმომადგენლების თქმით, მათი ყველაზე ცუდი მოლოდინი გამართლდა. დარღვევები დაფიქსირდა პრეზიდენტობის კანდიდატთა დასახელებისას, საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების ფორმირებისას, ჩინოვნიკები ხელმოწერების შეგროვების პროცესში უხეშად ერეოდნენ, საარჩევნო კამპანია მედიაში ცალმხრივად შუქდებოდა და ეს ჩამონათვალიც არასრულია.

ზოგიერთი ოპოზიციური პოლიტიკური ძალის მაგალითად „ჯგუჯი 24“-ის ლიდერმა ხალხს მოუწოდა, არჩევნებზე მივიდნენ, მაგრამ ხმა არავის მისცენ და ბიულეტენები სახლში წამოიღონ. თუ ოპოზიციას ეს ბიულეტენები ათეულ ათასობით დაუგროვდება (რაც გამორიცხული არ არის), ეს მათ იმის მტკიცების საშუალებას მისცემს, რომ არჩევნების შედეგი არალეგიტიმურია.

აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ხმის უფლება ემიგრანტებისთვის ფორმალურად არ წაურთმევიათ. იმავე რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში 24 საარჩევნო უბანია გახსნილი, რომელთაგან თითოეული, დაახლოებით, 3 ათას კაცზეა გათვლილი, თუმცა ეს არანაირად არ არის საკმარისი. როგორც ვთქვით, აქტიური ანუ ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 20-25 პროცენტი ქვეყნიდან გასულია.

ზოგი არჩევნებისთვის ტაჯიკეთში ბრუნდება, მაგრამ ამას, სურვილის შემთხვევაშიც კი, ყველა ვერ მოახერხებს. თვით ტაჯიკეთის საარჩევნო კომისიის მონაცემებით, რუსეთში არჩევნების დღეს 260 ათასი შრომითი მიგრანტი მაინც იქნება, ეს კი ნიშნავს, რომ საარჩევნო უბნები მათ მესამედს თუ ეყოფა. რუსეთის საინფორმაციო სამსახურის შეფასებით, მათ ქვეყანაში დროებით 1,2 მილიონი ტაჯიკია ჩასული. ეს კი იმ ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს, რომ ტაჯიკეთის საარჩევნო კომისია „ხელოვნურად ამცირებს“ რუსეთში მყოფ მიგრანტთა რიცხვს.

საერთაშორისო ორგანიზაციები ტაჯიკეთის წინასაარჩევნო კამპანიის კრიტიკით უკვე გამოდიან. მაგალითად, „ჰიუმან რაიტს უოტჩმა“ საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა, ტაჯიკეთში პოლიტიკურ ოპოზიციასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე მხარე ზენოლა საჯაროდ დაგმონ.

# ეიფმანი - ახალი რუსული ბალეტი თბილისში

პირველი გვარდიანა

ბალეტი «ცოდვის მიღმა» ქორეოგრაფის ფ.მ.დოსტოევსკის რომანის «ქმები კარამაზოვები»-ს ახალი პლასტიკური აღქმა გახდა. რუსული ლიტერატურის უკვდავი ნაწარმოების მიხედვით 1995 წელს დადგმული სპექტაკლი «კარამაზოვები» კარდინალურად გადაამუშავა, რომელმაც მას აღიარება მოუტანა. ბორის ეიფმანმა ემოციურად და ინტელექტუალურად დატვირთული ბალეტის ფსიქოდრამა შექმნა.

«ცოდვის მიღმა» ტექნიკური და მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით თანამედროვე სცენიური ნაწარმოებია, რომელსაც მარადიული «დანყევლილი» საკითხები წინა პლანზე გამოაქვს. XXI საუკუნის დასაწყისის ფასეულობების ტოტალური კრიზისის პირობებში, ქორეოგრაფმა ურყევ ზნეობრივ საფუძვლებს მიმართა და შექმნა ბალეტი ღმერთის უარყოფასა და ღმერთის ძიებაზე, ურწმუნობასა და რწმენაზე, ადამიანის ცოდვის წარმოშობასა და სულის ხსნაზე

სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ბორის ეიფმანის ხელმძღვანელობით, რომელიც 1977 წელს შეიქმნა, თავდაპირველად ერთი ქორეოგრაფის საავტორო თეატრის სახით ჩამოყალიბდა, რაც იმ დროისათვის უნიკალური მოვლენა. მან პირველივე პროგრამით შეძლო შთაბეჭდილების მოხდენა მაყურებელზე.

კოლექტივის პირველივე სპექტაკლები ახალგაზრდული აუდიტორიისაკენ იყო მიმართული. თამამი ექსპერიმენტად იქცა სპექტაკლი «ბუმერანგი», რომლის შესახებაც New York Times-ში დაიბეჭდა სტატია სათაურით «ბორის ეიფმანი - ადამიანი, რომელმაც გაბედა». უკვე ის ფაქტი, რომ მან მიმართა «პინკ ფლოიდს», დ.მ.აკლანდისა და რ.უეიკმანის («Yes») მუსიკას, აფეთქების თანაფარდი იყო, ხოლო ამ კომპოზიციების შეერთებამ გამოაგნებულ, ემოციურ, აკადემიური კლიშეებისაგან თავისუფალ «უპუანტო» ქორეოგრაფიასთან ეიფმანს «ქორეოგრაფიული დისიდენტის» რეპუტაცია შესძინა. ეიფმანმა თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილ-



ზე 40-ზე მეტი ბალეტი დადგა. მისი სპექტაკლების მიხედვით შექმნილია რიგი სატელევიზიო ფილმ-ბალეტებისა და აგრეთვე, მრავალი ტელეგადაცემა, რომელიც მის შემოქმედებას ეძღვნება. თეატრის რეპერტუართან ერთად ჩამოყალიბდა საბალეტო დასი განსაკუთრებული პლასტიკური აზროვნებით. არტისტები ბრწყინვალედ ფლობენ კლასიკურ და თანამედროვე ცეკვებს. მათ საოცარი გარდასახვის უნარი აქვთ. ბორის ეიფმანი - ახალი სამსახიობო სკოლის დამაარსებელი, - საბალეტო ხელოვნებას განსაზღვრავს, უწინარესად, როგორც სულიერ პროცესს.

ამჟამად თეატრი, რომელსაც ეიფმანი ხელმძღვანელობს, უცვლელი წარმატებით სარგებლობს რუსეთში და მის საზღვრებს გარეთ. ის გასტროლებს მართავს ევროპის, აზიის, ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში და მსოფლიო აღიარება აქვს მოპოვებული. თეატრში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ გამოჩენილი მოცეკვავეები: ვ. განიბალოვა, ნ. დოლგუშინი, მ. ლიეპა, ჯ. მარკოვსკი, ვ. მიხაილოვსკი, ვ. მოროზოვა, ა. ოსიპენკო. დღეს ქორეოგრაფის ჩანაფიქრს ხორცს ასხამენ მშვენიერი მოცეკვავეები: მ. აბაშოვა, ვ. არბუზოვა, ნ. ზმიევეცი, ე. კუზმინა, ნ. პოვოროზნიუკი, ა. სიტნიკოვა, ი. ანანიანი, ო. გაბიშვილი, ა. კასიანენკო, ი. კოზლოვი, ო. მარკოვი, ი. ოსიპოვი, ი. სმეკალოვი, დ. ფიშერი და სხვები.

ბალეტმაისტერის შექმნილი რეპერტუარი მნახველს აოცებს უანრების მრავალფეროვნებით: კამერული ბალეტის პროგრამები («ავტოგრაფები», «მეტამორფოზები»), ბალეტი-ბუფები («გიჟური დღე, ანუ ფიგაროს ქორწინება», «მეთორმეტე ღამე», «სასიყვარულო ინტრიგები»), ბალეტი-იგავეები («ლეგენდა»), ბალეტი-ზაპარები («ფასკუნჯი», «პინოქიო»).

თეატრის ბოლოდროინდელ ნამუშევრებს შორისაა სპექტაკლები, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა: «რეკვიემი», «ჩაიკოვსკი», «დონ კიხოტი, ანუ გიჟის ფანტაზიები», «კარამაზოვები», «წითელი ჟიხელი», «ჩემი იერუსალიმი», «რუსი ჰამლეტი» («ეკატერინე დიდის ვაჟი»), «დონ ჟუანი და მოლიერი», «ვინ ვინაა», «მუსაგეტი», «ანა კარენინა».

# ქართული კალიგრაფიის განვითარებისთვის

საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი კალიგრაფიის მორიგ კონკურსს აცხადებს. ოთხშაბათს, 6 ნოემბერს, 10:30 საათზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართება ბრიფინგი. სადაც გამოცხადდება 2013 წლის კალიგრაფიის კონკურსის პირობები და კრიტერიუმები.

ქართულ კალიგრაფიულ სკოლას საუკუნეების ტრადიცია აქვს. ხელით გადაწერილი წიგნი ადრეულ საუკუნეებშივე იქცა კულტურულ და ეროვნულ ფენომენად. საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ სამწიგნობრო კერებში საუკუნეთა განმავლობაში ინტენსიურად იქმნებოდა ქართული წიგნი. მონასტრებში მოღვაწე მწიგნობრების შემოქმედებითი ჯგუფები ქმნიდნენ რა ხელნაწერ წიგნებს, განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ ქართული ანბანის გრაფიკულ მოხაზულობას, წიგნის შესამკობად გამოყენებულ მოხატულ ასოებსა და სხვა დეკორატიულ ელემენტებს, რომელთა მრავალფეროვნებაში მქლავნდებოდა ცალკეული წიგნის შემქმნელის ინდივიდუალურობა.

მართალია, ბევრი ოსტატის სახე-



ლი დღეს ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მათი შემოქმედებითი ღვაწლით შექმნილი ასობით ხელნაწერი წიგნი ეროვნულ საუნჯედ იქცა. დღეს ისინი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ჩვენს რეალობაში ხელით წერის უძველესი მაღალმხატვრული ტრადიცია ნაკლებად ცნობილი და ნახალისებულია. დღეს ბევრი ვერ ხვდება რაში შეიძლება გამოიყენოს დახვეწილი კალიგრაფია. მაშინ როცა, ხელით შესრულებული ნამუშევრები, როგორც ხელოვნების ნიმუშები, საკმაოდ ფასობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინიციატივით 2010 წლიდან საფუძველი ჩაეყარა ყოველწლიურ კონკურსს «ქართული კალიგრაფია», სადაც მონაწილეებს საშუალება ეძლევათ თანაბარ კონკურენტულ პირობებში წარმოაჩინონ უნარი ხელით წერის კულტურაში, ასევე, აქვთ შესაძლებლობა მოისმინონ ლექცია-სემინარები შესაბამის თემებზე.

პროექტის საბოლოო მიზანია საქართველოში ხელნაწერი წიგნის შექმნის კულტურის აღორძინება.



# როგორღე მოხსნა

უკანასკნელ დროს ჩოგბურთი უფრო სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს მოთამაშეთა ფიზიკურ მომზადებას. ამდენად, სპორტსმენებს უფრო ხშირად უნევთ ტრავმის გამო შეხვედრიდან მოხსნა.

ქალთა ჩოგბურთს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ WTA-ტურის ლიდერები ტრავმაზე მცირეოდენი ეჭვის შემთხვევაში იხსნებიან მატჩის წინ ან, უკეთეს შემთხვევაში, მატჩიდან. მაგრამ თუ გავანალიზებთ ქალთა და ვაჟთა ტურების სტატისტიკას, ცხადი გახდება, რომ სხვაობა არც ისე დიდია. თუ WTA რეიტინგის ტოპ-ათეულის წარმომადგენლები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 47-ჯერ მოიხსნენ თამაშიდან ან უარი თქვეს შეხვედრაზე, მათი კოლეგებისთვის ATP-ტურიდან ეს მაჩვენებელი 40-ის ტოლია. ამ მხრივ ლიდერებს უო-ვილფრიდ ცონგა - ფრანგს ხუთი სეზონის განმავლობაში შვიდი მოხსნა აქვს. თამაშზე ექვსი უარით მეორე ადგილზეა ჩეხი ტომაშ ბერდიხი.

ვინც წაიკითხა ნოვაკ ჯოკოვიჩის წიგნი, ყველამ იცის, რომ კარიერის დასაწყისში სერბს ჰქონდა კორტზე სირთულეები. მსოფლიო რეიტინგის მეორე ნომერი აღიარებს, რომ დიეტის ცვლილებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მის თამაშზე. მაგრამ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა - 2006-2008 წლებში ნოვაკი შეიძვერ მოიხსნა შეხვედრებიდან, მაშინ როცა 2009-2013 წლებში - მხოლოდ ოთხჯერ. ამავე დროს, 2011 წლის შემდეგ მას არც ერთხელ არ უთქვამს უარი მატჩის დამთავრებაზე. ეტყობა, კრიტიკის ქარცეცხლმა, რომელიც ჯოკოვიჩს დაატყდა Australian Open 2009-ზე როდიკთან შეხვედრის დამთავრებაზე უარის თქმის გამო, დიდი გავლენა მოახდინა მის მენტალიტეტზე ამ საკითხში.

ბუნებრივია, შეუძლებელია დანამდვილებით ვიცოდეთ, მართლა მიიღო სპორტსმენმა ტრავმა თუ არა, როცა ის უარს ამბობს შეხვედრის დამთავრებაზე; მაგრამ თუ დავაკვირდებით ბოლო ხუთი წლის სტატისტი-



ნოვაკ ჯოკოვიჩი

კას, ცხადი გახდება, ვინ ამთავრებს შეხვედრებს და ვის უყვარს შეხვედრიდან მოხსნა, როგორც კი იგრძნობს, რომ საუკეთესო ფორმაში არ არის.

როგორ ფედერერი ცნობილია იმით, რომ კარიერის განმავლობაში არც ერთხელ არ მოხსნა შეხვედრაში და ბოლო ხუთი წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ მისცა მეტოქეს შემდეგ რაუნდში უბრძოლველად გასვლის საშუალება. მსოფლიოს პირველი ჩოგანი, რაფაელ ნადალი, ოდნავ ჩამორჩება შვეიცარიელს - მის ანგარიშზე ერთი უარი მატჩზე და ერთი მოხსნა. საინტერესოა, რომ ორივე - ენდი მარეისთან შეხვედრებში.

დავიდ ფერერს, რომელიც ყოველთვის იბრძვის ბოლომდე, იმის მიუხე-

დავად, როგორ წარიმართა შეხვედრა, აქვს სამი უარი შეხვედრაზე. ანალოგიური მაჩვენებელი აქვთ ენდი მარეისა და ხუან დელ პოტროს. ოთხი უარით მეექვსე ადგილზეა სტანისლავ ვავრინკა. რიშარ გასკე მეშვიდე ადგილს იყოფს ნოვაკ ჯოკოვიჩთან - ორივეს ხუთ-ხუთი მოხსნა აქვს თამაშიდან. ათეულის აუტსაიდერები არიან ტომაშ ბერდიხი და უო-ვილფრიდ ცონგა, შესაბამისად, შვიდი და რვა ანალოგიური შემთხვევით.

რაც შეეხება მოთამაშეებს ტოპ-ათეულს მიღმა, აქ ციფრები ბევრად უფრო შთამბეჭდავია. საკმარისია გადავხედოთ სერბი იანკო ტიპსარევიჩისა და რუსი ნიკოლაი დავიდენკოს მაჩვენებლებს. კარიერის განმავლობაში

იანკო ოცჯერ მოხსნა შეხვედრებიდან და სამჯერ აქვს უარი ნათქვამი თამაშზე; დავიდენკოს შემთხვევა უფრო სერიოზულია - ოცდაოთხი მოხსნა და რვა უარი.

არ იხსნებოდა ტურნირებიდან ბიორნ ბორგი. რომელიც იგებდა. და რომელიც უკვდავი, ლეგენდა იყო.

დიდი სლემის ტურნირებზე ბიორნ ბორგს არარეალურად მაგარი სტატისტიკა აქვს. შვედი იგებდა. იგებდა ბალახზე, ბორგმა უიმბლდონის 5 (1976-80) ფინალი მოიგო. ბორგი იგებს ნელ საფარზეც. როლან გაროზე ვულსტოკის ბიჭმა 6 (1974-75, 1978-81) ფინალი წამოიღო. ბორგი იგებს უკანა ხაზიდან და ბორგი უგებს ყველას.

ბიორნი საფრანგეთში. ბორგის მოგებული ფინალები.

1974. ბორგი - მანუელ ორანტესი 2:6, 6:7 (1), 6:0, 6:1, 6:1.

1975. ბორგი - გილერმო ვილასი 6:2, 6:3, 6:4.

1976. ბორგი - ადრიანო პანატა 6:1, 6:4, 4:6, 7:6 (3).

1978. ბორგი - გილერმო ვილასი 6:1, 6:1, 6:3.

1979. ბორგი - ვიქტორ პეჩი 6:3, 6:1, 6:7 (6), 6:4.

1980. ბორგი - ვიტას გერულაიტისი 6:4, 6:1, 6:2.

1981. ბორგი - ივან ლენდლი 6:1, 4:6, 6:2, 3:6, 6:1.

ბიორნი უიმბლდონზე. ნაკლები ჯეკპოტი როიალურ ტურნირზე.

1976. ბორგი - ილიე ნასტასე 6:4, 6:2, 9:7.

1977. ბორგი - ჯიმი კონორსი 3:6, 6:2, 6:1, 5:7, 6:4.

1978. ბორგი - ჯიმი კონორსი 6:2, 6:2, 6:3.

1979. ბორგი - როსკო ტენერი 6:7 (4), 6:1, 3:6, 6:3, 6:4.

1980. ბორგი - ჯონ მაკინროუ 1:6, 7:5, 6:3, 6:7 (16), 8:6.

შეგახსენებთ, რომ ქალთა ჩოგბურთს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ WTA-ტურის ლიდერები ტრავმაზე მცირეოდენი ეჭვის შემთხვევაში იხსნებიან მატჩის წინ ან, უკეთეს შემთხვევაში, მატჩიდან. მაგრამ თუ გავანალიზებთ ქალთა და ვაჟთა ტურების სტატისტიკას, ცხადი გახდება, რომ სხვაობა არც ისე დიდია. თუ WTA რეიტინგის ტოპ-ათეულის წარმომადგენლები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 47-ჯერ მოიხსნენ თამაშიდან ან უარი თქვეს შეხვედრაზე, მათი კოლეგებისთვის ATP-ტურიდან ეს მაჩვენებელი 40-ის ტოლია. ამ მხრივ ლიდერებს უო-ვილფრიდ ცონგა - ფრანგს ხუთი სეზონის განმავლობაში შვიდი მოხსნა აქვს. ექვსი უარით თამაშზე მეორე ადგილზეა ჩეხი ტომაშ ბერდიხი.

ესენი ისვენებენ და ისინი იგებდნენ.

დანართი №1. ( 2 ფურცელი)  
დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2013 წლის " 05 ნოემბრის " № ს-326 ბრძანებით

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauaction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. № 119 / 0422 27 35 10
3 სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5 სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ ქობულეთის მიმდებარე ტერიტორია, „ ქობულეთის ქვიშა ხრემის გამოვლინება“. (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა 33 000 მ <sup>3</sup> .)
6 სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ ქობულეთის მიმდებარე ტერიტორია,
7 აუქციონის საწყისი ფასი	5 740 ლარი
8 ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	574.00 ლარი
9 უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლაველი	1400 ლარი
10 აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 06 ნოემბრიდან დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 06 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
11 აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 06 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 06 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12 სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13 სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

### პელემ კომტას გაესპანელემა მოეწონა

პელეს მიაჩნია, რომ მადრიდის «ატლეტიკოს» თავდასხმელმა დიეგო კომტამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ბრაზილიის ნაკრებში ყოფნას ესპანეთში თამაში ამჯობინა, რამაც თანამემამულეთა მრისხანება გამოიწვია.

«დიეგო კომტამ სწორი და ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა. საქმე პატრიოტიზმში არ არის. პირადად მე მინდოდა, რომ მას ბრაზილიის ნაკრებში ეთამაშა, მაგრამ, როგორც ჩანს, თვითონ სხვაგვარად განსაჯა. იფიქრა, რომ ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდებოდა და...»

ესპანეთის მოქალაქეობის მიღების შემდეგ, ბრაზილიელმა დიეგო კომტამ ევროპულ ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა, რითაც ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელობა და ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლუიზ ფელიპე სკოლარი გააბრაზა.

«ინდივიდუალური საკითხია და მასში პირდაპირ ჩარევა შეცდომა იქნება. უბრალოდ, მინდა დიეგოს ვურჩიო, კიდევ ერთხელ კარგად ანონ-დანონს თავისი გადაწყვეტილება და საბოლოო სიტყვა შემდეგ თქვას», - ცოტა ხნით ადრე ამბობდა კომტას თანამემამულე, «ბარსელონას» მცველი დანი ალვესი.

### ტოტის ახალი წლის მერე ელოდებიან მოედანზე

Corriere dello Sport-ის ცნობით, «რომას» 37 წლის კაპიტანს, ფრანჩესკო ტოტის, რომელმაც «ნაპოლისთან» მატჩში ტრავმა მიიღო, შესაძლოა, მოედანზე დაბრუნება გაჭიანურდეს.

რამდენჯერმე ითქვა, რომ იტალიელი 8-15 დეკემბერს დაუბრუნდებოდა მოედანს. დღეს კი ამბობენ, საუკეთესო შემთხვევაში, «რომას» კაპიტანი გუნდს ახალი წლის შემდეგ დაეხმარება.

### ნადალს - «წლის დაბრუნება», ფედერერს - «მაყურებლის სიმპათია»

ვაჟთა საჩოგბურთო ასოციაციამ ლონდონში ATP World Tour Awards-ის ლაურეატები გამოავლინა.

შვეიცარიელ როჯერ ფედერერს სამ კატეგორიაში დასდეს პატივი: შტიფან ედბერგის სახელობის პრიზი სპორტული პრინციპებისა და პატიოსანი თამაშის ერთგულებისთვის (Fair Play), მაყურებლის სიმპათიისთვის (ზედიზედ მეთერთმეტე!) და ასევე არტურ ემის სახელობის ჰუმანიტარული ჯილდო იმ საქმიანობისთვის, რომელსაც მისი საქველმოქმედო ფონდი ეწევა აფრიკასა და შვეიცარიაში.

მსოფლიოს პირველი ჩოგანი ესპანელი რაფაელ ნადალი «წლის დაბრუნების» კატეგორიაში დასახელდა საუკეთესოდ.

რაც შეეხება დანარჩენ ნომინაციებში გამარჯვებულებს, «წლის წყვილად» ცნეს ამერიკელი ძმები ბობ და მიკ ბრაიანები. «მაყურებლის სიმპათიის» ჯილდოც ამერიკელ ძმებს დარჩა.

«წლის პროგრესისთვის» განკუთვნილი ჯილდო მიაკუთვნეს ესპანელ პაბლო კარენო-ბუსტას, რომელიც სეზონის დასაწყისში კლასიფიკაციაში 715-ე ადგილს იკავებდა და წლის განმავლობაში 66-ე პოზიციამდე დაინაწიდა.

ირიუ ვესელი კი გახდა პირველი ჩეხი ჩოგბურთელი, რომელმაც «მომავალი ვარსკვლავის» ნომინაცია მოიგო.

ყველაზე მთავარი ნომინაციის - «წლის ჩოგბურთელის» გამარჯვებულს ATP სეზონის შემავაშებელი ტურნირის დასრულების შემდეგ დაასახელებენ. აქ კანდიდატი მხოლოდ ორია - რაფაელ ნადალი და ნოვაკ ჯოკოვიჩი.

### ნორვეგიელი ექსპერტები დუმეთსა და თბილისში

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები თავის მორიგ მატჩს 2 იანვარს გამართავს თურქეთში, მანამდე კი სახელბურთო ცხოვრება ინტენსიურად გრძელდება. ნორვეგიაში გაიმართება ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურნირი აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში. თავისი რიგით გაგრძელდება ასაკობრივი პირველობებიც.

დღეს კი ორი მოვლენა აქტუალურია. საქართველოში საქმიანი ვიზიტით ჩამოსულია ორი ნორვეგიელი სპეციალისტი - ბენტ დალი და იგორ შესტაკოვი.

ხელბურთის საერთაშორისო ექსპერტი ბენტ დალი დუმეთშია, სადაც 1998-99 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ნაკრებთან ერთად აქვს სანერთელი სემინარი-შეკრება. ნორვეგიელი ნელულს უკვე მეორედ ჩამოვიდა ოლიმპიურ ნაკრებთან სამუშაოდ. სწორედ ამ გუნდს უნებს თამაში 2015 წლის ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე და 2017 წლის ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე. ორივე ეს ტურნირი საქართველოში გაიმართება.

თბილისში, სპორტკომპლექს «არენაში» კი ქართველი მწვრთნელებისთვის სემინარს ატარებს ცნობილი ექსპერტ-მეთოდისტი იგორ შესტაკოვი. სემინარი 12 ნოემბრამდე გასტანს და მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს წვრთნის თანამედროვე მეთოდის შესახებ.

**საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია**

## ბიკა გებუჩაძე „ზესტაფონში“ დაბრუნდა

პირველი გვირგვინი

სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 2014 წლის 1 იანვარს იწყება, თუმცა, მხარეები უკვე შეთანხმებული არიან თანამშრომლობის ორი წლით გახანგრძლივების შესაძლებლობაზე.

თავის მხრივ, გიორგი გეგუჩაძემ საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებს საფეხბურთო კლუბ «ზესტაფონში» თავის ასისტენტები, მეკარეთა და ფიზიკური მომზადების მწვრთნელები წარუდგინა:

ზესტაფონელთა მთავარი მწვრთნელის ასისტენტის თანამდებობაზე იმუშავებენ 40 წლის სპეციალისტი გურამ ასპინძელაშვილი, რომელიც თავის დროზე ზესტაფონელთა დუბლ-შემადგენლობის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე მუშაობდა და 35 წლის ლევან ბაჯელიძე, რომელიც იმერულ



კლუბში ამ პოზიციაზე ზაფხულის შემდეგ საქმიანობს.

რაც შეეხება ზემოთხსენებული კლუბის მეკარეთა მწვრთნელს, ამ თანამდებობაზე დანიშნულია დავით ჯანელიძე. ფეხბურთელთა ფიზიკურ კონდიციებზე მუშაობას კი ზესტაფონელთათვის კარგად ნაცნობი სერგი სპეციალისტი ივან ვუჩეტიჩი დაუბრუნდება.

გუშინ 16:00 საათზე, გია გეგუჩაძემ პირველი ვარჯიში ჩაატარა, ზესტაფონელთა დამრიგებლის ამპლუაში სადებიუტო შეხვედრას კი კვირას, 10 ნოემბერს, გამართავს - საქართველოს XXV ეროვნული ჩემპიონატის მეთორმეტე ტურის შეხვედრაში მარგველები ქვეყნის მოქმედ ჩემპიონსა და მიმდინარე ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ თბილისის საფეხბურთო კლუბ «დინამოს» უმასპინძლებენ.

Fczestafoni.ge

## 19-წლამდელებსა ლისაბონი გაიხსენეს

ბიკა გურასაძე

საქართველოს 19-წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე შარშანდელი წარუმატებლობა (ფინალში წაგება) წლეულს ლისაბონში ჩემპიონობით აინაზღაურა და იქვე საგაისო 20-წლამდელებსა ჰონგ კონგის მსოფლიო ალაფაზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. გუშინ ახალგაზრდა ბორჯღალოსნები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სტუმრობდნენ, სადაც ლისაბონის ტურნირის პერიპეტეები გაიხსენეს.



ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდა ბორჯღალოსნების უპირატესობა ამკარა იყო. ამკარა ქულებითაც და ლელოებითაც. დავით ვართანიანის გუნდმა მეტოქეები ჯამში 20-ჯერ დააღწია, თვითონ კი მხოლოდ ერთი მიიღო და ისიც ჩეხეთთან, რომელიც ქართველებმა დიდი ანგარიშით - 69:8 მოიგეს.

მიზანი მიღწეულია - საქართველო ევროპის ჩემპიონია და მსოფლიო ალაფას საგზურს დაეპატრონა, სადაც გაცილებით რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევს.

ბა მოუწევს იაპონიის, კანადის, ნამიბიის, ტონგას, ურუგვაის, აშშ-ისა და მასპინძელთა ნაკრებებთან.

ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა ფინალამდე მოუგეს ჩეხეთს (69:8) და ესპანეთს (31:3), ფინალში კი ბელგია 32:6 დაამარცხეს.

«ყველაზე მძიმე მატჩი ფინალი გამოდგა. ბუნებრივია - ემოციური ფონი იყო მაღალი, რაც დაძაბულობას უწყობდა ხელს. თან ცოტა დაბნეულებიც ვიყავით. ამის გამო პირველ ნახევარში ვერ შევქელით უპირატესობის მოპოვება. მეორე ტაიმის დასაწყისში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, გაიზარდა

სხვაობა, - ფინალურ შეხვედრას იხსენებს ნაკრების მწვრთნელი ზურაბ ამონაშვილი. - სტატიკურ სიტუაციებში, ღია თამაშში და, საერთოდ, სათამაშო კლასით ამკარად ვჯობდით მეტოქეებს. ამბობდნენ კიდევ, რომ ჩვენი ნაკრები საუკეთესო იყო, რომელიც, ასე ვთქვათ, ყველაზე მეტად ამოძრავებდა ბურთს. დაბალანსებული იყო მორკინალებისა და უკანა ხაზის თამაში. სანახაობრივადაც კარგი შეხვედრები გამოვიდა».

ლისაბონის ევროპის ჩემპიონატზე 8 გუნდი მონაწილეობდა - საქართველო, ბელგია, პორტუგალია, ესპანეთი, რუმინეთი, რუსეთი, პოლონეთი, ჩე-

ხეთი.

«ყველაზე ადვილად ჩეხებს მოუგეთ. თუმცა, ანგარიშებიდან ჩანს, რომ მაინცდამაინც რთული თამაშები არ გვქონია, - ამბობს ნაკრების კაპიტანი საბა შუბითიძე. - მხოლოდ ესპანეთმა გაგვიწია წინააღმდეგობა - თავიდან მაგრად დაგვიდგნენ. პირველ ტაიმში ბელგიასთანაც გავიჭირდა. მეორე ტაიმში ბელგიელები ფსიქოლოგიურად დავჩაგრეთ, კლასითაც ვაჯობდით და მიზანსაც მივაღწიეთ. ბოლოს ორივე გუნდი გავტეხეთ და დიდი ანგარიშით დავამარცხეთ. გაისად 20-წლამდელებს მსოფლიო ალაფაზე ვითამაშებთ».

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

სპორტში დოპინგის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები უაღრესად აქტუალურია და საერთაშორისო სპორტული საზოგადოების მუდმივ ყურადღებას იპყრობს. განსაკუთრებით სამწუხარო და საგანგაშოა, რომ ბოლო პერიოდში გამოვლინდა და დადასტურდა საქართველოს სპორტსმენების მიერ აკრძალული სამედიცინო პრეპარატების გამოყენების არაერთი შემთხვევა. მაგალითად, 2011-12 წლებში ჩვენს 9 სპორტსმენს დაუდგინდა დოპინგის მიღების ფაქტი და დაეკისრა შესაბამისი სანქცია. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ამ ამ-

ბავს საგანგებო პრესკონფერენციით და განცხადებით გამოეხმაურა. ამასთანავე, როგორც წინა წლებში, ჩვენ ამჯერადაც მივიღეთ დამატებითი პრევენციული ზომები - საქართველოს ანტისადოპინგო სააგენტოსთან ერთად მოვანწყვეთ სპეციალური სემინარი, შესაბამისი მითითებები და კონსულტაციები მიეცათ სპორტული გუნდების ექიმებს, მწვრთნელებს, სპორტსმენებს, სპორტულ ფედერაციების მესვეურებს. მიუხედავად ამისა, ამ დღეებში კიდევ ერთი შემთხვევა დადასტურდა. ამგვარი შემთხვევების მომსწრენი გავხდით: ამჯერად დოპინგსკანდალში გახსენეს საქართველოს ძალის-

თა ეროვნული ნაკრების წევრები, რომელთა დოპინგ-ტესტებმა დადებითი შედეგი აჩვენა, ჩვენი ნაკრები კი მსოფლიოს წლევიანდელ ჩემპიონატს გამოეთიშა. ამას, სავარაუდოდ, მოჰყვება ორწლიანი დისკვალიფიკაცია და სოლიდური ფინანსური ჯარიმა. ცალკეული პირების დაუდევრობით და უპასუხისმგებლობით, მძიმე დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა ჩვენი ძალისხმობის მომავალი, სერიოზული ზიანი მიადგა მთლიანად ქართული სპორტის პრესტიჟს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ძალისხმობის ფედერაციას, საქართვე-

ლოს ანტისადოპინგო სააგენტოსთან ერთად, უმოკლეს ვადაში დეტალურად გამოიკვლიოს დოპინგის მიღების საქმის ყველა გარემოება და გამოავლინოს კონკრეტული დამნაშავეები.

აქვე კიდევ ერთხელ მივმართავთ ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციებს, მწვრთნელებს, ექიმებს გაატარონ ქმედითი პრევენციული ღონისძიებები, გააძლიერონ კონტროლი, მკაცრად დაიცვან მსოფლიოს ანტიდოპინგური კოდექსის მოთხოვნები, რათა მომავალში გამოირიცხოს მსგავსი ინციდენტები.